# მომხმარებლის დანახარჯების დინამიკა

ნოემბერი 2024


**ირინა კვახაძე**
ვიცე პრეზიდენტი, მკვლევარი

**თინათინ თუთბერიძე**
უმცროსი ანალიტიკოსი, მკვლევარი

**თეა პავლიაშვილი**
უმცროსი ანალიტიკოსი, მკვლევარი

# მოკლე შეჯამება

2024 წლის ნოემბერში, ჯამური უნაღდო დანახარჯების მოცულობა და უნაღდო ტრანზაქციების რაოდენობა წლიურად მზარდია.

არარეზიდენტების უნაღდო დანახარჯები წლიურად კვლავ იზრდება. სასტუმროებში წლიური უნაღდო დანახარჯების მოცულობა გაიზარდა, ხოლო ტრანზაქციის საშუალო ზომა შემცირდა.

თბილისში საცხოვრებელი უძრავი ქონების ტრანზაქციები ნოემბერში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაზრდილია. ახალი იპოთეკური სესხების მოცულობა წლიურად გაიზარდა.

რესტორნებში უნაღდო დანახარჯების წლიური ზრდა კვლავ დადებითია, თუმცა ტრანზაქციის საშუალო ღირებულება შემცირდა.

შენიშვნა: ზრდის ტემპები მოცემულია თიბისი ბანკის არხებით POS და ელ-კომერციის ხარჯვაზე დაყრდნობით; მოცემული ზრდები შესაძლოა განსხვავდებოდეს ჯამური ბაზრის დინამიკისგან უნაღდო დანახარჯების წილის და თიბისი ბანკის საბაზრო წილის ცვლილების გამო

# ჯამური უნაღდო დანახარჯები მზარდია

- 2024 წლის ნოემბერში, თიბისი ბანკის არხებით, უნაღდო დანახარჯების წლიურმა ზრდის ტემპმა 21% შეადგინა. უნაღდო ტრანზაქციების რაოდენობა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 14%-ით გაიზარდა.

- 2024 ნოემბერში, სურსათზე უნაღდო დანახარჯები წლიურად 22%-ით გაიზარდა, ხოლო თიბისი ბანკის არხებით საშუალო ტრანზაქციის მოცულობამ 16 ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე ინფლაცია 3.1%-ით გაიზარდა.

## ჯამური უნაღდო დანახარჯები და უნაღდო ტრანზაქციების რაოდენობა (წ/წ ცვლილება)




## სურსათი: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი ტრანზაქციაზე




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო

# არარეზიდენტების მიერ უნაღდო დანახარჯები ზრდას განაგრძობს

- 2024 წლის ნოემბერში, თიბისი ბანკის არხებით, სასტუმროებში უნაღდო დანახარჯების წლიური ზრდის ტემპი 42%-ს გაუტოლდა. ნოემბერში საშუალო ტრანზაქციის მოცულობა 359 ლარამდე შემცირდა, როცა გასულ თვეში მონაცემებმა მიმდინარე წლის პიკს მიაღწია და 414 ლარი შეადგინა.

- არარეზიდენტების უნაღდო დანახარჯები, თიბისი ბანკის არხებით, ნოემბერში წლიურად 39%-ით გაიზარდა.

## სასტუმროები: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი ტრანზაქციაზე




## არარეზიდენტების უნაღდო დანახარჯები (წ/წ % ცვლილება)




წყარო: თიბისი ბანკის არხები

# რესტორნებში უნაღდო დანახარჯები წლიურად 57%-ით გაიზარდა

- 2024 წლის ნოემბერში, რესტორნებსა და კაფეებში უნაღდო დანახარჯები თიბისი ბანკის არხებით წლიურად 57%-ით გაიზარდა. რაც შეეხება საშუალო დანახარჯს ერთეულ ტრანზაქციაზე, მაჩვენებელი სექტემბრიდან მოყოლებული მცირდებოდა და ნოემბერში 31 ლარი შეადგინა.

- მიმდინარე პერიოდში, თიბისი ბანკის არხებით უნაღდო დანახარჯებში გართობის სექტორში 7%-იანი წლიური ზრდა დაფიქსირდა.

## რესტორნები და კაფეები: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი ტრანზაქციაზე




## გართობა: უნაღდო დანახარჯები (წ/წ % ცვლილება)




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო

# უნაღდო დანახარჯები ტანსაცმელსა და აქსესუარებზე კვლავ მზარდია

- 2024 წლის ნოემბერში, თიბისი ბანკის არხებით უნაღდო დანახარჯების წლიური ზრდა ტანსაცმელსა და აქსესუარებზე 27%-ს გაუტოლდა. 29 ნოემბერის, შავი პარასკევის შემოთავაზებებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საშუალო ტრანზაქციის მოცულობაზე, რომელმაც 122 ლარი შეადგინა, რაც 2023 წლიდან მოყოლებული ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.
- სხვა საცალო მაღაზიებში უნაღდო დანახარჯების მოცულობა, თიბისი ბანკის არხებით, წლიურად 27%-ით გაიზარდა.

## ტანსაცმელი და აქსესუარები: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი ტრანზაქციაზე




## სხვა საცალო მაღაზიები: უნაღდო დანახარჯები (წ/წ % ცვლილება)




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო

# თბილისში გაყიდული ბინების რაოდენობის წლიური ცვლილება დადებითია

- 2024 წლის ნოემბერში, ახალი გაცემული იპოთეკური სესხების მოცულობა წლიურად 5%-ით გაიზარდა.
- თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ტრანზაქციების რაოდენობა ნოემბერში წლიდან წლამდე 10%-ით გაიზარდა.

### თიბისი ბანკის მიერ ახალი გაცემული იპოთეკური სესხების დინამიკა (წ/წ % ცვლილება, კურსის ეფექტის გამორიცხვით)




### თბილისში გაყიდული ბინების რაოდენობა (წ/წ % ცვლილება)




წყარო: თიბისი ბანკი, საჯარო რეესტრი

# სამშენებლო მასალებზე წლიდან წლამდე უნაღდო დანახარჯები 7%-ით გაიზარდა

- 2024 წლის ნოემბერში, სამშენებლო მასალებზე უნაღდო დანახარჯები, თიბისი ბანკის არხებით, წლიურად 7%-ით გაიზარდა.
- ელექტრონიკაზე უნაღდო დანახარჯების ზრდამ წლიურად 27% შეადგინა.
- წლიურად 4%-იანი ზრდა დაფიქსირდა უნაღდო დანახარჯებში ავეჯსა და მოწყობილობებზე, თიბისი ბანკის არხებით.

## სამშენებლო მასალები: უნაღდო დანახარჯები (წ/წ % ცვლილება)




## ელექტრონიკა და ავეჯი & მოწყობილობები: უნაღდო დანახარჯები (წ/წ % ცვლილება)




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო

# საწვავზე უნაღდო დანახარჯები ზრდას განაგრძობს

- 2024 წლის ნოემბერში, საწვავზე უნაღდო დანახარჯებმა თიბისი ბანკის არხებით 10%-იანი წლიური ზრდა აჩვენა, ხოლო საშუალო ტრანზაქციის მოცულობამ საწვავზე 51 ლარი შეადგინა.
- მანქანასთან დაკავშირებული ხარჯები, თიბისი ბანკის არხებით, წლიურად 15%-ით გაიზარდა, ხოლო საშუალო დანახარჯი ერთეულ ტრანზაქციაზე 65 ლარს გაუტოლდა.

## საწვავი: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი ტრანზაქციაზე




## მანქანასთან დაკავშირებული ხარჯები: უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი და საშუალო დანახარჯი ტრანზაქციაზე




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო

# ფარმაციაზე უნაღდო დანახარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა

- 2024 წლის ნოემბერში, უნაღდო დანახარჯები პირად ჰიგიენაზე წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 24%-ით გაიზარდა. შავ პარასკევს გაზრდილი ხარჯვების შედეგად შესამჩნევად გაიზარდა თიბისი ბანკის არხებით უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპი ფარმაციაზე და წლიურად 37%-ს გაუტოლდა.
- ჯანდაცვაზე უნაღდო დანახარჯების ზრდის ტემპმა, თიბისი ბანკის არხებით, წლიურად 28% შეადგინა. 2024 წლის ნოემბერში ტრანზაქციის საშუალო მოცულობა 113 ლარს გაუტოლდა.

## ფარმაცია და პირადი ჰიგიენა: უნაღდო დანახარჯები (წ/წ % ცვლილება)




## ჯანდაცვა: უნაღდო დანახარჯები (წ/წ % ცვლილება)




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო

# ტელეკომუნიკაციასა და ციფრულ სერვისებზე უნაღდო დანახარჯები წლიურად 23% ით გიზარდა

> 2024 წლის ნოემბერში, ტელეკომუნიკაციასა და ციფრულ სერვისებზე უნაღდო დანახარჯები წლიურად 23%-ით გაიზარდა, ხოლო საშუალო ტრანზაქციის მოცულობამ 11.69 ლარი შეადგინა.

### ტელეკომუნიკაცია და ციფრული სერვისები: უნაღდო დანახარჯები (წ/წ % ცვლილება)




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო

# ნოემბერში, სურსათზე გაწეულმა დანახარჯებმა უნაღდო დანახარჯებში კვლავ ყველაზე მაღალი წილი დაიკავა

- 2024 წლის ნოემბერში, თიბისი ბანკის არხებით, ჯამურ უნაღდო დანახარჯების განაწილებამ საქონელსა და მომსახურებაზე 66% და 34% შეადგინა, შესაბამისად. მონაცემებიდან გამოიკვეთა, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში საქონელზე გაწეული ხარჯების უდიდესი წილი ჯამურ უნაღდო დანახარჯებში ნოემბერში დაფიქსირდა.
- 2024 წლის ნოემბერში, რესტორნებზე დახარჯულმა წილმა მთლიან უნაღდო დანახარჯებში 13% შეადგინა. სურსათზე დანახარჯების წილი, როგორც ყველაზე დიდი წილის მქონე კატეგორია ჯამურ უნაღდო დანახარჯებში თიბისი ბანკის არხებით, 25%-ს გაუტოლდა.

## ჯამური უნაღდო დანახარჯების განაწილება საქონლისა და სერვისების მიხედვით




## ჯამური უნაღდო დანახარჯების განაწილება კატეგორიების მიხედვით




წყარო: თიბისი ბანკის არხები, საქართველო

## სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გაავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის. რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ებ)ი, პარტნიორ(ებ)ი, თანამშრომელ(ებ)ი, დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ებ)ი ან აგენტ(ებ)ი („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამიზნული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიმღებებს მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია. დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობილი განაცხადის გარდა, მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტიური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისაგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დაშვებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულია გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუოა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განაახლოს. მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მესამე მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებებთან დაკავშირებით. თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე

თიბისი კაპიტალი

www.tbccapital.ge